№ 11 იანვარი 17, კვირა 1888 იანვარი 17, კვირა № 11

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ. ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი

ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის საავენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

**თანამდებობის აღმასრულებელს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლისას აქვს პატივი აცნობოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომ 1-ს მაისს ამა 1888 წლისა დაიწყება ჩვეულებრივი გუბერნიის რჩევის კრება, თანახმად 81 მუხ. IX ტ. გამ 1876 წ.**

---

ბ-ნნი წევრნი კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისანი მიწვეულ არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 19-ს იანვარს, საღამოს 7½ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მიმდინარენი საქმენი;

2) მოხსენება მიწების იჯარით აღების თაობაზედ სახელმწიფო გლეხთაგან ამიერ-კავკასიაში.

---

## ქართული თეატრი

ბენეფისი ბ-ნ ვას. აბაშიძისა

19 იანვარს, სამშაბათს,

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

**ორ ცეცხლ-შუა**

დრამა 3 მოქმედებად ჟირარდენისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

II

**რაინდი**

**უშიშარი და გულ-მართალი**

ოპერეტა 2 მოქმედებად, მუსიკა ლეკოკისა.

მოთამაშენნი. ქქ. ავალოვისა, საფაროვაბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

---

ტფილისი, 16 იანვარი

ჩვენში სალიტერატურო მოღვაწეობა საერთოდ და ჟურნალ-გაზეთობის საქმე საკუთრივ ჯერ კიდევ მსხვერპლს ითხოვს მოღვაწისაგან. ჟურნალ-მეგაზეთე გარდა იმისა, რომ უწყალო შრომას უნდა დაეტყვევინოს, დრო და ჟამი უნდა შესწიროს და თვალები გაიწყალოს აუარებელ ჯაფისაგან, ხშირად იძულებულია ყოველს ამას თავისი ცოტად თუ ბევრად შეძლებული ჯიბეც ზედ დააბერტყოს. ამ ნაირად ორ-გზითვე უნდა გაიჭიროს საქმე და გაიორკეცოს უამისოდაც მძიმე და რთული საქმე მწერლობისა და მოღვაწეობისა. ჩვენ აქ იმას აღარ ვახსენებთ, რომ კოლო-ბუზების ბზუილსაც უნდა გაუძლოს და ჭია-ღუების უკბილო კბენასაცა.

ამიტომაც, როცა ჩვენში კაცი ვინმე თავს იმეტებს და ჟურნალ-გაზეთობას ხელსა ჰკიდებს, დიდის პატივის-ცემით სახსენებელია და უმადურობად მიგვაჩნია, თუ ვინმე გულის-ტკივილით და სიყვარულით არ მოექცა ამისთანა ცოტად თუ ბევრად თავ-გაწირულს კაცსა.

რა თქმა უნდა, რომ ყველგან და ნამეტნავად ჩვენში ყოველ გვარს ჟურნალ-გაზეთობას პირველ ხანებში ბევრი ნაკლი, ბევრი უძლურება და უღონობა ზედ-დაჰყვება ხოლმე, მაგრამ ამას-კი აღარავინ ჰკითხულობს, რა ძნელია რომ პირველ ხანშივე ახალი საქმე, ახალი დაწყობილება, ნამეტნავად ახალი სალიტერატურო ორგანო მთელის სავსებით, მთელის სისრულით გამოგვიჩნდეს და დაგვენახოს. ამის არ-გამკითხველი, ამის არ-შეუგნებელი დიდის ჭკუის პატრონი არ უნდა იყოს, როგორც ის, რომელიც მოითხოვს, რომ დღევანდელ დღეს დარგულმა ვაზმა დღესვე, დარგვისავე უმალ, ყურძენი დაისხას. ჩვენა გვგონია, რომ ამისთანა დამწუნებელი კაცი არც კარგის გულისა უნდა იყოს, იმიტომ-რომ კარგი და პატიოსანი გული არ დაავალებს კაცს, შეუძლებელი მესძელიო და არც უსაყვედურებს, რატომ არ შესძელიო.

ყველას თავისი დრო აქვს, თავისი ჟამი, თავისი გარემოება და მიზეზი და ამაებს თავზედ ვერავინ ვერ გადაახტება, იმიტომ-რომ ამ ქვეყნიერობაზედ არაფერი ჰჩნდება, არაფერი იბადება სავსებით, სისრულით და დამთავრებით. ყველაფერს თავისი ასაკი აქვს ზრდისა, წარმატებისა და დამთავრებისა და ეს ხშირად ავიწყდებათ წარამარად მოლაქლაქეთა, რომელთაც ჰგონიათ, რომ რაკი მამალსავით ჰყივიან და ბოთვერასავით იყეფებიან, სოფელი თავის-თავად უეცრად აშენდებაო. ყივილით და ყეფით სოფლები რომ შენდებოდეს, მაშინ ტყუილ-უბრალო ლაქლაქსაც ფასი დაედებოდა და არა გვგონია მაშინ ეგ ეხლა უფასური ლაქლაქი ვისმე სულელებისათვის და ჭკვა-პარიებისათვის დაეთმო. ეგრეთ წოდებული ჭიდილი არსებობისათვის ამის ნებას არ მისცემდა.

უბედს მუნჯი დააჩუმებსო, ნათქვამია. ჩვენც ამ წარამარად მოლაქლაქეებს დავუმუნჯდეთ და მივმართოთ იმ საგანს, რამაც ზემოხსენებული გვათქმევინა.

ახალმა წელიწადმა მოგვივლინა ახალი მოძმე. დაიბადა «მეურნე». სახელი და დიდება იმ კაცს, ვინც ეგ ფრიად საჭირო საქმე ითავა და არ შეუშინდა არც ჯაფას, არც ხარჯს, არც გულღვარძლობას ზოგიერთისას, რომელსაც ჩვენში წესად აქვს კიცხვაკილვით პირველ ხანშივე გული მოუკლას საქმის დამწყებსა, ხალისი გაუფუჭოს და უმადურობის შხამი გადაასხას წმინდა საქმეს. ჩვენ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, რომ თუ რამ ნაკლი ექმნება ამ ახალს გაზეთს, ამაზედ ხმა არავინ ამოიღოს. «მეურნეს» რედაქცია იმოდენად მიხვედრილია, რომ თვითონაც არ იკადრებს ეს მოსთხოვოს ჩვენს საზოგადოებას და ამასთან ძალიან კარგადაც იცის, რა ძნელი და რთული საქმე აქვს ნატვირთი და აქ ყველას გულის-მოგება, ყოველის ფრით სავსეობა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც ყოველს კეთილ-მყოფელს ჩვენის ქვეყნისას ფართო გზა აქვს გახსნილი თავისი რჩევა აცნობოს რედაქციას, თავისი აზრი გაუზიაროს. ხოლო «მეურნის» რედაქციას სრული საბუთი და სრული სიმართლე აქვს, ყველას ჩვენგანს მოსთხოვოს პატივის-ცემით მოქცევა, გულწრფელი და გულ-მტკივნეული რჩევა და აზრი.

ჩვენი ზნე ლიტერატურული მეტად გარყვნილია და ზოგიერთი [continued] 

---

## ფელეტონი

### ოთარაანთ ქვრივი

XIV*)

განა თვითონ-კი იცოდა?

— როგორ მოგეწონა ეს ამბავი? ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ.

— ახირებული გული ჰქონია, უპასუხა დამ, თითქო პირველ ხანს სხვა უკეთესი ვერა მოეგონა-რაო.

— ეგ ცოტაა. ნამუსი ჰქონია, ნამუსი!... ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას.

— ნურც აგრე გაადიდებ მაგ უბრალო საქმესა.

— მაგას ნუ იტყვი. რაც კარგია, იქ დიდ-პატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია — თავის-თავად დიდია. ჰხედავ უსწავლელი კაცია. მაგისი ნამუსი ჰკუიპ-კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებულია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა, ჩემის ფიქრით, იმიტომ-რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის რა ჰქმნას. ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი.

— რაო? დედის ავად ხსენება იწყინა, სხვა ხომ არაფერი?

— ეგ ბოლოა. შენ სათავე მოუჩხრიკე ამ საქმესა. გულმა არ მოუსვენა, ცხენი რომ მოუვლელი ჰნახა და მეჯინიბე არხეინად მწოლარე. საქმე და მოსაქმე ერთმანერთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა. ხომ არც ცხენი იყო იმისი, არც მეჯინიბე იმისაგან დავალებული. რა ეწოდა, რა უნდოდა, ჩვენად რომ ვიკეთხოთ? ჩვენი ამება? ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც-კი მოაწევდა. მეჯინიბის ჯავრი სჭირდა და მიზეზი მოუდო? რა ჯავრი უნდა სჭირებოდა კაცს პირველადა ჰხედავს. არც ერთი და არც მეორე. საწანახედოდ გამხდარი საქმე ჰნახა, იქავ ხელთ-უძრავი მოსაქმე და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი-და ეს დიდი ნიშან-წყალია კაცობისა... სწორედ დიდი ნიშან-წყალია. ეხლა მესმის რაც იყო, იმ დღეს რომ მეწისქვილემ გვიამბო. აი ბურკიაშვილის კამეჩი რომ დაეჭირა მინდვრიდამ მომავალს და კახუაშვილისათვის მიეყენებინა კარზედ, შენს ჯეჯილს აფუჭებდაო. მე თუმცა ზოგიერთი ამბები ვიცოდი გიორგისა, მაგრამ, — ღმერთო შეგცოდე, — აქ-კი გავიფიქრე, უთუოდ ბურკიაშვილის ჯავრი სჭირებია-მეთქი გიორგის. ეხლა ვნანობ, რომ ეს გავიფიქრე და ამ ფიქრით შევუგინე ნამუსი მაგ პატიოსანს კაცსა.

— ბოდიში მოიხადე, უთხრა დამ გულითადად და ჰკვა-დასმით, რაკი ხუმრობა გაშვებით ჩაუკვირდა თავის ძმის ნათქვამსა.

— ბოდიშს იმითი მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მივებარები, დიაღ, შეგირდად. ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დეე გვასწავლოს და გვწურთნოს...

არჩილმა წინა და უკან სიარული დაიწყო ოთახში და ფიქრს მიეცა. კესოც ჩაფიქრდა. გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო.

— კესო! შეჰდგა ბოლოს კესოს წინ არჩილი და უთხრა: იცი რას გეტყვი? აი სახლის წინ რომ ყვავილების ბაღს იკეთებ, მოდი გიორგისაც დაეკითხე ხოლმე. მე მგონია, ეს ღოთი გარმიანელი მებაღე სულაც დავითხოვოთ და გიორგის ჩავაბაროთ, ურიგო არ იქმნება. ჭკვა-გონებიანი ბიჭია, შენ ოღონდ ანიშნე და იმედი მაქვს მაშინვე მიგიხვდება, სად რა და როგორ გააკეთოს. სხვას ხომ დღიური მუშებიც გაუძღვებიან, რაკი გიორგი თავ-მდგომელი იქნება. ცოდოა მაგისთანა ბიჭის ამაზედ მოცდენა, მაგრამ ჯერ ეს იყოს და მერე სხვას რასმე ავუჩენთ.

— ძალიან კარგი, მოუწონა დამ: ოღონდ ეს არის, რომ ჯერ ყველაფერი მარტო ქაღალდზეა გამოხაზული და ვაი თუ ვერა გავაგებინო-რა. აბა ჯერ ერთი ვაჩვენებ, გაიგებს რასმე თუ არა.

მეორე დღეს არჩილი დილა ადრიანად თავის ახალშენს ვენახში წავიდა. ცხენს რომ ქუსლი ჰკრა და პირი უბრუნა, პირ-უკუღმა მოსძახა გიორგის:

— სამუშაოზედ არსად წახვიდე, კესოს შენთან საქმე აქვს.

«კესოს»?!..

გიორგის გული გადაუტრიალდა...

კესოც ადრე ამდგარიყო, მაგრამ მინამ მილაგ-მოლაგდებოდა, ჩაიცვამ-დაიხურავდა, კარგა ხანი გავიდა.

ბოლოს კესომ იხმო გიორგი.

გიორგიმ რომ მარტო ჰნახა თავის თავი კესოსთან, თითქო შიშმა აიტანაო. ალბად იმორცხვა და საკვირველიც არ არის: თავის დღეში უცხო ქალთან მარტოდ არა ყოფილა.

კესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული ქაღალდი, სხვა-და-სხვა ფერად აჭრელებული. ეს ბაღის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდამ გადმოეღო თვითონ კესოს და ძმასთან ერთად შეესწორებინა თავის სურვილისამებრ.

— აბა აქედ მო, გიორგი. ერთი ეს ნახაზი უნდა გაჩვენო, — უთხრა კესომ გიორგის, კარებში გაშეშებულსავით ატუზებულს.

გიორგიმ ფეხი წინ არ წადგა.

— ეს ოხერი, რამ დამიდუნა მუხლებიო, იფიქრა.

— რას იბუზები ახლად მოყვანილ პატარძალსავით. ფეხი გადმოდგი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამ.

გიორგიმ ორი ბიჯი წინ წასდგა და მაინც შორი-ახლო დაუდგა კესოსაც და ქაღალდსაც.

— ე რა ფანცქალმა ამიტანაო!.. გაიკვირვა გულში.

— რა დაგემართა, ადამიანო! აი აქ მო ჩემთან ახლო, უთხრა ეხლაკი ცოტად გაჯავრებულმა კესომ.

«ახლო»!.. ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გძელია.

გიორგიმ ფეხი არ გაანძრია. მარ-

*) იხ. „ივერია“ №№ 2, 3, 4, 7 და 8.

თების მოწყალებით ჯერ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე თავის ბაზარს დაჰკარგავს ტყუილი სისინი, ტყუილი ბზუილი უგბილო მტრობისა და შურისა, ავყიაობის და კაპარჩხიანობის უდრონო ზედმოსევა კბენისათვის და დაბახანური პირ-წყლიანობა ლანძღვისა და თრევისათვის. ჩვენი გულითადი სურვილი, ჩვენი გულ-წრფელი რჩევა ყოველთ უწინარეს ის არის, რომ ჩვენმა მოძმემ «მეურნემ» არასფერს ამისთანას ყური არ ათხოვოს, თვისი მხურვალე მეცადინეობა არ მოაკლოს თავის საქმესა, არ გაუნელდეს, არ გაუგრილდეს თავის მძიმე მოვალეობას და სულ-მდაბლობის ჩირქიანი უმადურობა სულ-მდაბლობასვე მიანებოს. ჩვენ ვიცით, რა ძნელს საქმეს მოჰკიდა «მეურნის» რედაქციამ ხელი, ჩვენ ვიცით, რა სიძნელეს უნდა შეეჭიდოს ყოველისფრით და ყოველის მხრით, ჩვენ ვიცით, რამოდენად უნდა გაიჭიროს თავი შრომისათვის, რამოდენად უნდა გამოიმეტოს ჯიბე ხარჯისათვის და მარტო ამ საბუთით შეგვიძლიან უტყუარად ვსთქვათ, რომ «მეურნის» დაარსება, გაძღოლა და წარმართვა სხვერპლია, თავის გაწირვაა.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ამისთანაებში გულ-გრილი საზოგადოება დღეს იქნება თუ ხვალ დაინახავს ამ სხვერპლს, ამ უანგარო სამსახურს „მეურნისას“, იმედი გვაქვს, რომ თვითონ «მეურნეც» თვისის სიკეთით და წარმატებით თავს მოაწონებს მამულის პატრონებს და მომვლელებს და «მეურნე» თავის დროზედ საყვარელ გაზეთად შეიქმნება და აუცილებელ საჭიროებად ყოველის ოჯახისათვის სოფელში. მაგრამ მინამ პეტრე მოვიდაო, პავლეს ტყავი გასძვრაო, ნათქვამია და აი ჩვენი გულ-გრილი საზოგადოება რას უნდა ჩაუფიქრდეს დღესვე. სირცხვილია, სირცხვილი კაცმა უანგაროდ იშრომოს, უსასყიდლოდ ჯაფა გასწიოს ჩვენთვის და ჩვენ იმოდენად დაუნახავნი ვიყვნეთ, რომ ხარჯის გასასტუმრებელი დონეც-კი არ ვაძლიოთ.

## ახალი ამბავი

*** 24 იანვარს შესრულდება 763 წელი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა დიდებული მეფე საქართველოსი, დავით აღმაშენებელი. იმეფა სახელოვანის მეფობით, იყო კაცი ბრძენი და მხნე, შეაერთა ნაწილ-ნაწილ დაყოფილი და დაჭრილი საქართველო, მოიპოვა დაუვიწყარი სიყვარული მთელის ხალხის გულში, და განუტევა თავისი დიდებული სული ორმოც-და-თორმეტის წლისამ, შემდეგ ოც-და-თექვსმეტის წლის მეფობისა.

ამ დიდებულის მეფის ხსოვნა დღესაც ცხოვლად შენახულია საქართველოს ერის მეხსიერებაში, და ამიტომ ვთხოვთ ჩვენს მკითხველებს, ვისაც-კი აქვს რაიმე ახალი და საინტერესო ცნობა დავით აღმაშენებელზე, ანუ ლეგენდა, — მიიღოს შრომა და გამოგვცეს, რომ ჩვენ გაზეთის შემწეობით გავუზიაროთ «ივერიის» მკითხველებსა.

*** სამშაბათს, 19 იანვარს, ბენეფისია ბ-ნ ვ. აბაშიძისა. ამ დღისთვის ქართულს თეატრში ითამაშებენ სამ-მოქმედებიან დრამას ქირარდენისას — «ორ ცეცხლ-შუა, გადმოთარგმნილს ბ-ნ ი. მაჩაბლის მიერ, და ორ მოქმედებიან ოპერეტს — «რაინდი უშიშარი და გულ-მართალი».

*** წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ზედამხედველმა ქ-ნმა ნიკიფოროვისამ, რომელიც 18 წლის განმავლობაში დიდის მეცადინეობით და საქმის ცოდნით ასრულებდა თავის რთულს მოვალეობას, ამ ხნებში დაანება თავი ხსენებულ სასწავლებლის ზედამხედველობას. იმის მოადგილედ ასახელებენ გრაფინია კონოვნიცინას.

*** 15 იანვარს საღამოს მატარებელმა რკინის გზაზედ, ქარელსა და გორს შუა, გაჭყლიტა ერთი კაცი. თურმე ასე ყოფილა საქმე. სამი მგზავრი მიმავალა რკინის გზის ლიანდაგზე. ორს მოუსწვრია ლიანდაგიდამ გადახტომა, მესამეს-კი ვერა. მატარებელი გაუჩერებიათ. ორი თანამგზავრი დაუპატიმრებიათ და ჩამოუყვანიათ გორში გამოძიებისათვის. მკვდრის გვამთან-კი დაუყენებიათ დარაჯები.

*** «დიდი მრუდე» ქუჩა ყურ-მიუგდებელია. ამ ქუჩის მცხოვრებნი ნაგავს და ყოველს სიბინძურეს ქუჩაში ჰყრიან: დახოცილს კატას, ძაღლს, ქათამს და სხვ. № 20 სახლის აივანზედ ქვეშაგებსა და ხალიჩებს თავზე აბერტყენ მიმოსვლელთა. ქუჩის ქვა-ფენილი, უკანასკნელ წვიმებისა და თოვლ-ჭყაპისა გამო, ალაგ-ალაგ ძალიან დაიშალა და ხშირად ურმები და ფაიტონები იმტვრევა. იმ დღესაც ფაიტონს ღერძი გაუტყდა და შიგ მსხდომთ ერთმანერთს თავები მიახალეს.

*** დახურულს ბაზარში ვიწრო ქუჩა ჩადის სირაჯებიდამ. ამ ქუჩის ტალახი ბაზრის ბოლოში დგება და არავინ სწმენდავს. ეხლაც რაღაც შავ-ლურჯი ტალახი ძევს. კარგი იქნებოდა, რომ მაღაზიების პატრონებს, [illegible] დუქნების წინ, მაინც გახვეტინონ და გაასუფთავებინონ ხოლმე.

*** აფხაზეთი: სოხუმში დაარსდა, აგერ სამი წელი გადის, ეპარქია და ეპისკოპოსიც დაგვინიშნეს. მათი ყოვლად უსამღვდელოესობა წელიწადში ორჯელ თუ სამჯერ ჩამობრძანდება ხოლმე ჩვენს დაბაში. დანარჩენს დროს-კი სულ ახალ ათონის მონასტერში ცხოვრობს. ამბობენ, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა სოხუმში იმიტომ არ დაბინადრდა, რომ სახლი ვერ იშოვნა თავის შესაფერიო. თუ ეს მართალია, სოხუმელებს უნდა ეძრახებოდეთ, რომ აქამდის ვერ იშოვნეს საიმისო სახლი.

*** სოხუმის ეპარქიაში სამრევლო სკოლების საქმე კარგად მიდის მ. ხარლამპის და იოსებ ბერძენოვის მეცადინეობით. აქ უკვე გაიხსნა ხუთიექვსი სამრევლო სკოლა. სხვა სოფლებში თითქმის ყველგან შემდგარია სოფლის განაჩენი და მომავალ გაზაფხულზე გაიხსნება ყველგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბათუმი, 13 იანვარი. «ნურიის» ქართველს ვაჭრებს წლევანდელს ახალ წელიწადს ვერაფერი სახარბიელო დღე გაუთენდათ. რამდენსამე შეზარხოშებულს ვაჭარს მოუვიდათ ერთმანერთში რაღაც უთანხმოება, ამას მოჰყვა ძიძგილაობა, ძიძგილაობას — ჩხუბი და ერთი დავიდარაბა, მუშტის ქნევა. მცველნი ქალაქის მყუდროებისანი თვალის დახამხამებაზე დაიბადნენ იქ, საცა ჩხუბი იყო. მაგრამ თქვენს მტერს, რაც ამათ საქმე ჩაიდინეს: გაშველების მაგიერ თავ-პირი დაამტვრიეს თოფის კონდახებით ნურიის ვაჭრებსა. მცველნი, უეჭველია, მოქმედებდნენ თავისთა უფროსთა ჩაგონებით და ხელ-მძღვანელობით. დაეკვებათ ნურიის ვაჭრებს ცემა-ტყეპა!

ახალ წელიწადს ღამეს კოპალაძეს გაუტეხეს სამზარეულო და საკუჭნაო, საიდგანაც სულ მთლად წაიღეს, რაც-კი რამ ებადა პატრონს. ესეც კაი ნობათია!

წყალ-კურთხევის ღამეს გაუტეხეს სახლი ალ. გუგუშვილს, რომელსაც ყოველისფერი მოჰპარეს ღამის რაინდებმა, რაც-კი რამ ავეჯი და მოწყობილება ჰქონდა. ეს ამბავი 5 იანვარს მოხდა. ესეც კიდევ საახალწლო სანუკარი!

ამ დღეებში კიდევ გაქურდეს ვიღაც ვაჭარი. ასე დაიწყო ეს ჩვენი ახალი წელიწადი და შემდეგში რა იქნება, ის-კი ღმერთმა უწყის. ერთი ამბავიც და მერე ისევ ძველ წელს მივუბრუნდები. ცოტა რამ ანგარიში მაქვს კიდევ იმასთან გასასწორებელი...

ქართველები რომ დაბერებას ეძახიან, ამას მგონი რუსები «იოლკას» უწოდებენ. ამ გვარი «იოლკა» თურმე გამართეს აქაურ დედათა სქესის სასწავლებლის მოსწავლეთათვის. როდესაც ეს შეატყობინეს სკოლის მმართველს, ამ უკანასკნელმა ასე თურმე შეუთვალა სკოლის სამზრუნველოს: „იოლკის“ მაგივრად ოთახები რომ გაათბოთ, ისა სჯობიაო. ამაზე დიდი ალიაქოთი მოხდა, მიწერ-მოწერა.

**

ახლა ისევ ძველს წელიწადს დავუბრუნდეთ. ცხადია ყველასათვის, რომ ბათუმი აივსო ათასის მილეთის ხალხითა. გაკოტრებული ვაჭარი, გაბათილებული ვექილი, გადაყენებული მოხელე, — ყველა აქ არის. არის-კი არა, პურსა სჭამს და თავზე ბუზს არ ისვამს. ამ გვარ ხალხით სავსე ქალაქს, რასაკვირველია, მოვლა უნ- [illegible] სულთა მოსავლელად ქალაქისა თვითმმართველობის შემოღება მოინდომეს. წარსულს წელშივე შესდგა ცალკე კომისია, რომელმაც უნდა შეი-

---

ტო კისერი გადაიწვდინა და ისე შორი-ახლოდამ ჩასცქერა ქალალდსა, როგორღაც უხერხულად და გვერდელად.

— კაცო, არ გეყურება? მე ახლო ვარ და ძლივას ვხედავ და შენ მაინდამ რას დაინახავ, მამლაყინწასავით კისერი წამოგიშვერია. ახლო მოდი-მეთქი!

გიორგი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა.

— ე რა ფრთხილამ ამიჩემაო! ჯადო მეწევა უკან, თუ ხატი არ მიშვებს წინ? ჰკითხავდა თავის თავს გაოცებული გიორგი.

კესომ აღარ აცალა, წაავლო ხელი სახელოზედ და გამოსწია.

გიორგი წაბარბაცდა, თითქო მეხმა ახლო გაუარაო. ალბად ფეხი წამოჰკრა რასმე...

— რა იყო? იკითხა კესომ.

— არაფერი. ფეხი-ფეხს თუ წამოვკარ, მიუგო გიორგიმ და გულში გაიფიქრა: ფეხის ძარღვები დამაჭრეს, თუ რა მომდის ეს ოხერ-ტიალი!..

— აი, უთხრა კესომ, როცა გვერდ დაიყენა გიორგი და ჩაახედა ქაღალდში: დაბალ მესერით შემორტყმული ადგილი ხომ გინახავს ჩვენის სახლის წინ, — ეს ის არის. ეხლა, ჩემო გიორგი, ამ ადგილს ამისთანა მიხვეულ-მოხვეული გზები უნდა დაუკეთდეს. ამ გზებს აგურის ფხვნილით წითლად მოვფენთ. გზებსა და გზებს შუა აი ასეთი კვლები უნდა დაიკვალოს, როგორც აქ არის გამოხატული. ამ კვლებში სხვა-და-სხვა ფერადი ყვავილები დაითესება. აი ამ შუა-გულს ხომ ჰხედავ? აქედამ...

— მე ვერასა ვხედავ, ვერა!.. შენი ჭირიმე, ეხლა თავი დამანებე, სხვა დროს მიბძანე, უთხრა გულ-ამოსკვნილის ხვეწნით გიორგიმ, და განზედ გაუდგა კესოს: რაღაცა ხათაბალა გადამეკიდა, თვალები ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ, ვერც ვერა მესმის-რა. ეხლა დამითხოვე, შენის ღმერთის გულისათვის...

კესომ ჰნახა, რომ გიორგი მართლა არც თავის ფერზე-ღაა, არც თავის გუნებაზედ. დაითხოვა და სთქვა თავის თავად:

— გულის ჭიდილი მოუვიდა, თუ რა ამბავია.

განა თვითონ გიორგიმ-კი იცოდა, რა ამბავია!

### XV

კაცია და გუნებაო.

ეს მოხდა მარტის დამდეგს. გავიდა მარტი, გავიდა ლამაზი აპრილი, და უფრო ლამაზი მაისი. დადგა თიბათვეცა. კესოს ყვავილების ბაღი, გეგმაზედ გაკეთებული, მოირთო, მოიკაზმა. ისე გაჰლამაზდა წითლად მიხვეულ-მოხვეულ გზებითა, შიგა და შიგ დაყოლილ მწვანე მდელოებითა, ყვავილების ფერადითა, რომ კაცის თვალი ვერ გაძღებოდა. ღონიერი ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი თითქო ერთმანერთს შესჯიბრებოდნენ, — აცა ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო. ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ დაეზოგათ და რაც მადლი ჰქონდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებღერტნათ.

კესოს მეტის-მეტად უხაროდა, რომ ესე კარგად, ესე ლამაზად აუსრულდა თავისი დიდი-ხნის სურვილი. მინამ მთის იქიდამ მზე ამოალაპლაპებდა თავის სხივსა და თეთრს თოვლიან მთის წვერს ოქროს წყალს, ოქროს ჯაფარს გადაასხამდა, კესო ჩაცმულ-დახურული ბაღში იყო ხოლმე ყოველ დღე და თითქმის საღამომდე, დიდ-ბინდამდე არ აგონდებოდა, რომ სახლშიაც შესვლა საჭიროა. მთელი დღე დაჰგოგავდა ფერად ყვავილებ და მწვანე მდელოებ შორის და ყოველს ყვავილს, ყოველს ახლად ამოხეთქილს ნერგს, ყოველს ახლად გამოკვანძილს კოკორს შეჰხაროდა, როგორც საყვარელი საყვარელსა. თუ არავინ იყო, «ნამეტნავობისაგან გულისა» დაუწყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს ყვავილს ალერსიანს საუბარსა, თითქო მერცხალი თავის ბლარტებს ეჭიკჭიკებაო.

ძვირად, ძალიან ძვირად-კი შეემთხვევოდა, რომ იმის ბაღში სხვა არავინ ყოფილიყო: გიორგი იქ იყო და იქ!.. რაც უნდა ადრე გამოსულიყო ბაღში, გიორგი ან თოხით ხელში, ან ბარით, ან სასხლავით იქ დაჰხვდებოდა ხოლმე.

გიორგიმ არჩილისა და კესოს სწავლებით და ჩვენებით გააკეთა და დაჰკვალა ის ბაღი და გიორგისავე ებარა. არა მგონია, თავის ორს თვალს ისე გაჰფრთხილებოდა, როგორც ამ ბაღს უვლიდა და უფრთხილდებოდა. მტვერი რა არის, — მტვერს არ დაადენდა, არ შეარჩენდა ბალახსა და ფოთოლსა.

არჩილი და კესო ძლიერ ემადლიერებოდნენ გიორგის და არა ერთხელ უთქვამთ ერთმანერთისათვის, რომ ორი-სამის კაცის ოდენას აკეთებს ეგ ერთი კაციო.

არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა. პირ-იქით, უხაროდა კიდეც თავისი ბედი.

— მე მეტი არა მინდა-რაო, ამბობდა ხოლმე თავის გულში, როცა ამისთანაებს ჩაუფიქრდებოდა: გადამკიდებიან, ჯამაგირისა სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინდა!.. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის ამარა დღეს მზეს ვუყურებო.

რა უნდოდა ამითი ეთქვა გიორგის, გამოცნობა ძნელია. ეს-კი სათქმელია, რომ როცა ბაღში ჰმუშაობდა და ქეიფზე მოვიდოდა, სულ ერთსა და იმავე სიმღერას ჰღიღინებდა ხოლმე ხმა-დაბლა: «ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო», თითქო სხვა აღარა იცოდა-რა, თითქო სხვა არაფერი ენატრებოდა, არაფერი ეხარბებოდა ამ დედამიწის ზურგზე.

მართლად თქმულა: კაცია და გუნებაო!..

### XVI

ალბად!..

გავიდნენ კიდევ დღენი და თთვენი. დადგა მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად, — მალეო, თორემ ვდუღვართ და გადმოვდივართო. დაიკრიფა ვენახებიც, დაიწურა ყურძენი, დაჰდუღდა მაჭრები. მისწყდა სოფელში ხმა-მაღალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელი-ხელ გადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოიჭამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოიქანცაო.

მოვიდა შუა-გული შემოდგომისა. სოფლის ორღობებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებმა. სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებავად ზამთარში: ეშინოდათ თოვლს არ მოესწროო.

არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შეება, თივას აზიდვინებდა და შინ ეზოში, გომურის შორი-ახლო, ბოძებზედ შემდგარს მაღალ სათივეზედ

მუშაოს წესები ქალაქის თვით-მმართველობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სიაში ზოგი ისეთი კაცები კომისიის წევრებად, რომელთაც იმდენი ესმით თვით-მმართველობისა, რამდენიც ციურის იმპერიის ბოლდიხანს ჩვენებური ხუცური. ამ ვაჟბატონებმა უნდა შეიმუშაონ ის წესები, უნდა მოუმზადონ თვით-მმართველობას სათანადო ნიადაგი? რაზამ საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!

—

ბათუმში ამ ბოლოს ხანებში ერთი ჩვეულება შემოიღეს. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო. ვისაც-კი რამე უნდა, დასწერს ეპისტოლეს და დაარბენინებს ქუჩებში ხელის მოსაწერად. დასწერენ ქაღალდს, ესა-და-ეს კარგი და პატიოსანი კაციაო; თუ არ ეგა, ამა-და-ამ მოხელედ სხვა არ გვინდაო. აქაურებიც აწერენ ხელსა.

კარგს იზამდნენ ბათუმელი მაჰმადიანი ქართველები, რომ ყველა ქაღალდს განურჩევლად ხელს არ აწერდნენ. ეს გარემოება ყოველსავე ცნობას დაუკარგავს აქაურებსა. საციმბირო ხარ, ხელს გიწერენ; გამოსახსნელი ხარ, ხელს გიწერენ; კარგი ხარ, ხელს გიწერენ; ავი ხარ, მაინც კიდევ ხელს გიწერენ. როგორ იქნება, ძველო ქართველებო, ამ გვარი ქცევა. არ გაგიგონიათ, თქვენზე რას ამბობენ ჩვენი მწერლები:

> პირველ თქმულია მკვდთაგან
> სიკარგისდე მესხთაო?..

—

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» ბათუმის სკოლის სასარგებლოდ ამ ცოტა ხანში იქნება გამართული ქართული წარმოდგენა.

ბათუმელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. «კავკაზში» დაბეჭდილია ორ ფელეტონად წერილი იველიშვილისა კავკასიისა და ასურეთის ურთიერთობაზედ ძველად. ჩვენის მკითხველებისათვის სხვათა შორის საყურადღებოა დასასრული ამ წერილისა ვანის ტბის ახლო აღმოჩენილს ლურსმურ წარწერების თაობაზედ. მეცნიერნი ბევრს ეცადნენ, შეეტყოთ, რა ენაზეა ის წარწერანი და თითქმის დღესაც ერთს გადაწყვეტილს აზრს ვერ დასდგომიან: მაგალითად

> მეცნიერი რობერტი ამტკიცებდა, რომ ის ენა სემიტელების (ებრაელნი, არაბნი და სხვ.) ენის მონათესავე ენა უნდა იყოსო; მეცნიერი მორტმანი ამტკიცებდა, რომ ვანის წარწერათა ენა სომხურს ენასა ჰგავსო.

დღეს-კი ცოტად თუ ბევრად გაირკვა ეს საგანი. ჯერ მეცნიერმა სეისმა და მერე სტანისლავ გიუარმა დაამტკიცეს, რომ

> ვანის წარწერათა ენას არავითარი არც მსგავსება, არც ნათესაობა არა აქვს სომხურს ენასთან; ხოლო უფრო საფიქრებელია, რომ ის ენა დიდად მიემსგავსება ქართულს ენასაო.

ამ აზრის დასამტკიცებლად თითო-ოროლა საბუთებიც არის მოყვანილი წერილში: მომეტებული ნაწილი ზმნებისა, პრეფიქსები, მერე ბრუნვის დაბოლოვებანი, ნაცვალ-სახელები და ერთად-ერთი რიცხვითი სახელი, რომელიც იმ წარწერებში ციფრით არ არის დაწერილი (athebi), სრულიად ქართულის ხასიათისაო.

> სამწუხაროდაო, ამბობს ბ-ნი იველიშვილი, — ჯერ-ჯერობით ცოტა სიტყვებია გარკვეული ვანის წარწერებიდამა. ვისაც უნდა დაწვრილებით შეიტყოს იმ ენის ამბავი, მიჰმართოს სეისის საფუძვლიან დისერტაციას, რომელიც დაბეჭდილი იყო 1882 წელს ლონდონის სააზიო ჟურნალში: «The cuneiform inscriptions of the Van». ხოლო ჩვენ აქ მოვიყვანთ რამდენსამე საინტერესო საგრამატიკო ცნობას ვანის წარწერათა ენის შესახებ: მაგალითად, იქ ზმნის დაბოლოვებაა უ ბ ი, ქართულში ე ბ ა, იქ მრავლობით რიცხვში სახელობით ბრუნვის დაბოლოვებაა ნ ი, ქართულშიაც—ნ ი; ე ბ ა ნ ი—იმ ენაზედ ჩვეულებრივ არის ქალაქი, სოფელი, უბანი; ქ ა ბ ვ ი—ქართულად ქვა; ა გ უ ბ ი—ამორჩევა, აღება; ტ უ კ ი—ტყვე და სხვანი.

მართალია, ამ საგნის თაობაზე ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არა დაუსკვნია-რა მეცნიერებას, მაგრამ მეცნიერთა შორის-კი დიდი ხანია ტრიალებს ის აზრი, რომ ოდესმე მცირე აზია, ძველი კაბადუკია, შავის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირები და ის ადგილები, საცა დღეს სომხეთია, იყო დასახლებული ქართველთა ტომის მკვიდრთაგანაო. ამას ამტკიცებდა ჰაიდ-კლერკი, პ. უსლარი; ამასვე ამტკიცებს, თუ არა ვცდებით, საფრანგეთის სწავლული ჰაიტერიასი. ეტყობა ამ ბოლოს დროს ამ აზრსავე დასდგომიანე ახალნი მსწავლულნიც სეისი და სტანისლავი გიუირი.

<>

# უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ავსტრი-ვენგრია ძალიან ემდურება ამ ბოლოს დროს გერმანიას. ამოდენა ხანია თავით ფეხამდე შეიარაღებულნი ვართ, გვლით ომს და ამ ლოდინმა ლამის სულ გაგვათახსიროსო. გერმანიაზეა დამოკიდებული, იქნება ომი თუ არა და გერმანია-კი გადაწყვეტით არას ამბობს, არც ომსა ნდომობს, არც უომრობასა. ამასობაში-კი ჩვენ საომრად მზადებამ და ამისათვის დიდ-ძალის ფულის ხარჯვამ სული ამოგვხუთაო.

— ვენგრიის მთავარ-მინისტრმა კოლომან ტისსამ გამოაცხადა, რომ უხერხულ საქმედ მიმაჩნია პასუხი მივცე გელფისა და პერჩელს დღევანდელის პოლიტიკის მდგომარეობაზედაო.

— გაზ. „Times“-ი ამბობს, რომ ავსტრიის სადიპლომატო კრებული წამოვიდა სოფიიდამაო.

— 4 იანვარს ვენგრიის დეპუტატთა პალატას ჰქონია სჯა და ბაასი ხარჯთაღრიცხვის გამო. გორნსკის უთქვამს, რომ წლევანდელს წელსაც იაფად ვერ გადავრჩებით, უთუოდ მთავრობა კიდევ მოგვთხოვს მომეტებულს ხარჯსაო. ტისსას გორნსკის წინააღმდეგ ულაპარაკნია. ტყუილად ჰგონია გორნსკის, რომ საქმე მართლა გრე უნუგეშო მდგომარეობაში იყოსო. ტისსასთვის პალატას თანაგრძობა გამოუცხადებია და დიდის ტაშის კვრით მიჭგებებია.

— იმ საანდაზის დროს, რომელიც მოხდა ჩეხიის სეიმში, მღვდლ-ჩეხების მეთაურს ედ. გრეგერს მუშტი მოუღერებია დიდ მემამულეთათვის და დაუყვირნია: «ამ სამარცხვინო ქვეყნს ჩეხიის ერი არ გაპატიებთო».

<>

# წვრილი ამბები

— ინგლისის სამხედრო კომისიას ჯარისათვის მეტფორდის ყაიდის ხაზინის თოფი ამოურჩევია. ერთი თოფი სულ $9\frac{1}{2}$ გირვანქას იწონის.

— «Revue de Cercle militaire» ამბობს, რომ ხაზინის თოფი ეხლა-კი არა, 1860 წელს მოიგონესო. ერთმა სილინგენელმა მეთოფხანემ, გილიომ განტოგმა, ამ ხაზინის თოფის მოწყობილობა 250 წლით ადრე იცოდა, თვით ლებელზედაცაო.

— დიდი უბედურება მომხდარა ამას წინად ლავისის ეკკლესიაში, ავსტრიაში. მომღვრის მიერ ქადაგების დროს ერთს დედაკაცს გულს შემოჰყრია და ყველანი დაფაცურებულან, რათა შველა და შეწევნა აღმოეჩინათ გულ-წასულისათვის. ვიღასაც ჰგონებია, რომ ეკკლესიას ცეცხლი ეკიდებაო და დაუწყია ყვირილი: «ვიწვითო». ყველანი კარებს მისცვივნიან, მისწოლიან ერთმანერთს და ამის შედეგი ისა ყოფილა, რომ 8 კაცი დაურჩვიათ, 17 მძიმედ და 60 სუბუქად დაუშავებიათ.

— პარიჟის პოლიციას, ლონდონის პოლიციის მიწერილებისამებრ, დაუტუსაღებია ექვსი კაცი, რომელნიც ქურდთა ბრბოს ეკუთვნოდნენ თურმე. ამ ექვსზე ეჭვი აქვთ იმაზედ, რომ ასენი იქმნებიან 250,000 მან. ბრილიანტების წამღებნი «Ancien Paris»-ის მაღაზიიდგანაო. ექვსნივე კარგად და ლამაზად ჩაცმული ვაჟკაცები არიან, მშვენივრად მოწყობილს სახლებში ცხოვრობენ. ლონდონიდგან რომ არ შეეტყობინებინათ, ძნელად თუ პარიჟის პოლიციას გაებედნა და დაეტუსაღებინა ეს სახით პატიოსანნი ვაჟკაცნი. ვინც ყველაზედ უკეთ იყო ჩაცმული და უკეთ ცხოვრობდა, ის ადრეც დაპატიმრებული და გასისხლიანი ავაზაკი აღმოჩნდა თურმე. ამ ბრბოს მეთაურის სახელი კვლეია; ამ კვლეს დანარჩენები «მამას» ეძახდნენ თურმე. ნაქურდალს ლონდონში ჰგზავნიდა ეს კვლეი, იქიდგან შესაბამი ფული მოსდიოდა და თავის «შვილებს» ავილდოვებდა.

— უშველებელი ინგლისის ხომალდი «Great Eestern»-ი, რომელიც აგერ რამდენიმე ხანია იყიდებოდა და იმის ყიდვას ვერავინ ჰბედავდა, დასასრულ ბარნუმს უყიდნია, რათა ხომალდი მოსიარულე ცირკად გარდააქციოს და სხვადა-სხვა ადგილები მოიაროს.

— ჩინეთის ერთს მოხელეს უპოვნია იაპონიაში ერთი 'ეგზემპლიარი საგანგებოდ ამოწერილ ადგილებისა კონფუციიდგან, დაწერილი 1,200 წელს. ეს თხზულება დაიკარგა თურმე ჩინეთიდგან ამ 800 წლის წინად. რადგან ჩინეთის მთავრობას კარგად მოეხსენება თურმე, თუ რა პირობებით არის ზემოხსენებული თხზულება ნაპოვნი, ამიტომ მიუნდვია თავის იაპონელ ელჩისათვის, რომ მაგ ეგზემპლიარიდგან პირი გადაეღებინე და გამოეგზავნეო.

— ამას წინად ბერლინში ორმა ექიმმა-ქალმა, ტიბურტიუსმა და ლენთესმა, გაჰმართეს საქალებო სამკურნალო. ბერ-

---

ადგმევინებდა, რომ საქონლის პირი არ მისწვდეს და არ გააფუჭოს.

მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა ჩასასვლელად, იქ, მთის წვერზედ შემდგარიყო, თითქო ჰნანობს,—რას ვეშურები და ამ ლამაზ ქვეყანას ეგრე მალე რად ვეთხოვებიო. მშვიდობიანი, გრილ-სითბოიანი, მშრალი, უნესტიანო, უღრუბლო სალამო შემოდგომისა კუტსაც-კი ფეხს აადგმევინებდა და გარედ გამოახედებდა.

არჩილი და კესოც გამოსულიყვნენ სახლიდამ, ჩასულიყვნენ სათიბესთან, იქ ერთს უშველებელ კუნძზედ ჩამომსხდარიყვნენ და უცქეროდნენ მუშებს, რომელნიც თივასა სდგამდნენ.

არჩილს უამისოდაც ძალიან უყვარდა მუშებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც. კესოსათვის არა ერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო.

ოთხი ურემი ოთხ-კუთხივ მოსდგომოდა სათიბეს. სამი დაცლილი იყო და ერთიდამ-ღა აწვდიდნენ თივასა. შუა-სარი სათივისა ორ ადლზე-ღა ჰჩანდა და სათივე ვიწროზე ადიოდა თავის მოსაბმელად.

ამ დროს გიორგის თოხი მხარზედ გაედო და მოდიოდა.

— პეტრე, აი პეტრე! დაუძახა შორიდამ თივის მდგმელს: ბალისაკენ გადახრილია ე თავი სათივისა; გვერდელად აგყავს, არ ივარგებს, გაასწორე.

— გიორგია. საიდამ იძახის? იკითხა არჩილმა, რადგანაც იმ მხრივ, საიდამაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა. ურმის გამო ვერც გიორგი დაინახავდა არჩილსა და კესოს, ვერც ესენი გიორგისა.

— საიდამ მოსდიხარ თოხით მხარზე? ჰკითხა არჩილმა, როცა გიორგი ახლო მივიდა და სალამო მშვიდობისა უთხრა და-ძმასა.

— წყალი გადმოვარდნილიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუიდამ და იმის გადასაგდებად ვიყავი.

— რას იძახოდი?

— არაფერს. ცოტა თანაბარად ვერ ადის ვიწროდამ თივა, ავდრის წყალს დაიგუბებს და გაფუჭდება. ის დავუძახე პეტრეს, გაასწორე-მეთქი.

— აბა მაჩვენე.

არჩილი წამოდგა. გიორგი გაუძღვა და მეორე მხრიდამ შეახედა.

— მართალი ხარ, უთხრა გიორგის არჩილმა: პეტრე! გიორგი მართალს ამბობს, თავი ვერ ედგმის კარგად.

პეტრემ შუა-სარზედ ჩამობმულს წნელს მოჰკიდა ხელი და ეგრე ხელმომაგრებულმა გარშამო შემოუარა და ჩახედ-ჩამოხედა სიმგრგვლივ სათივეს.

— აკი ღმერთი არ გამწყრომია! დაიძახა პეტრემ: გასწორება უნდა. მოდი, თუ ღმერთი გწამს, გიორგი, ერთი ამომეშველე, გავასწოროთ, თორემ მე მარტოკა დღეს მაგას ვეღარ მოვასწრობ და საქმის სახვალიოდ დაგდება-კი მეზარება.

— კაცო-და, ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვიწროზედ? ასძახა გიორგიმ.

— მაშ ნუ დამზარდები, შენის ღმერთის გულისათვის: მე ჩამოვალ და შენ ამოდი. მე მკლავებიდამ მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ. აბა თუ ბიჭი ხარ, მადლს იზამ და მარილს მოაყრი.

— იცი-კი დადგმა თივისა? ჰკითხა კესომ ამ ჟამად აქ მოსულმა: ამბობენ, მაგას ცოდნა უნდაო.

— ხელობა რა არის, ქალბატონო! შეჰლიმა გიორგიმ: განა სად გავიზარდე!...

— მაშ აბა! უთხრა არჩილმა: ეს ბურთი და ეს მოედანი.

პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულ წნელს ხელი, ჩამოცურდა და ფეხი ძლივს მოაწვდინა საძნე ურმის ჰალებამდე ფეხის მოსაკიდებლად. როგორც იყო ჩამოვიდა, მივიდა, გიორგის მხარზედ ხელი დაჰკრა და ტკბილის გულით უთხრა:

— ჩემს კისერზედ იყოს, ჩემო გიორგი! არ დაგვეკარგება. სხვა არა იყოს-რა, მამიშენის ხნის კაცი ვარ. ეჰ, შვილო და ძმაო, კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს დასდოს.

— რადაო? ჰკითხა გიორგიმ.

— მათაო, ჩემო კარგო, რომ ბერ-კაცს თვალიც ატყუებს და ხელიც ჰღალატობს, ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზდას. შენს ხანში ხელს არ მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა!

— ახალ'სა ნამუდრავალსა ბერის სჯ...ს ...., გულს ნუ გაიტეხ.

— გაცოცხლა ღმერთმა, თქმაც იცი და კეთებაც.

გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვები ველარ გაიგონა, მაშინვე ავარდა ურემზედ, ორ-თითით მოიწვდინა თივაზე სარტყელსავით ჩამოკიდებული წნელი და თვალის დახამხამების უმალ სათივეს ზედ-თავზედ მოექცა. მიშალმოშალა, ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადაბლა სათივე და რაკი ჰნახა,—აქედამ ეხლა სწორედ ავაო, დაიწყო დგმა. მინამ დიდი ბინდი მოეფინებოდა ქვეყანას, გიორგიმ თავისი საქმე გაათავა.

— ცეცხლია, სწორედ ცეცხლი, ე დალოცვილისშვილი! ეუბნებოდა არჩილს გულ-მართალი პეტრე, როცა ქვევიდამ შესცქეროდა გამალებულს მუშაობას გიორგისას.

— მართლა კარგი რამ არის, კვერი დაუკრა არჩილმა.

— კარგიო!.. ბადალი არა ჰყავს, ბადალი ამ სოფელში!..

გიორგიმ რომ გაათავა, გადმოსძახა პეტრეს:

— აბა, პეტრე, ერთი შენებურად დაუარე სიმგრგვლივ, კარგად შემოკვერცხლილია, თუ არა?

პეტრემ აუარ-ჩაუარა სათივეს და ასძახა:

— კარგია, კარგი. ჩამოდი, მაგას სხვა აღარა უნდა-რა.

გიორგიმ წაავლო ხელი წნელს, ფეხები თივას მიაბჯინა, დასჭიმა წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა სათივიდამ. შუამდე მოვიდა თუ არა, უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი, პირ-აღმა გადმოქცეული, წამოვიდა მაღლიდამ და ურმის ჰალს ზედ დაეცო ზურგითა. ჰალმა ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი-კი შეუნგრია...

არჩილი, კესო, ხალხი მისცვივდნენ და გიორგი ცოცხალ-მკვდარი ჰნახეს დედამიწაზედ პირ-ქვე დამხობილი. სისხლი შადრევანსავით სცემდა...

არჩილი მაშინვე მუხლის კვერებზედ დაეცა გიორგის წინ და სცდილობდა წყლული შეეხვია. ზოგი არჩილმა, ზოგი სხვებმა, როგორც იყო, წყლული შეუხვიეს,—ცოტა არ იყო, სისხლის დენამ უკლო.

ცოცხალ-მკვდარი გიორგი და გულ-შემოყრილი კესო ცალკ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში.

— აი ღვთის წყრომა!.. რა შეგცოდე, ღმერთო, რომ მე გამხადე საბაბი!... უნებურად წამოიძახა პეტრემ და ატირდა.

— ხიფათი რომ იქნება,—იქნება, ანუგეშა ვიღაცამ პეტრე: ალბად ეგ წერებულა მაგის შუბლზედ!.. შენი რა ბრალია!..

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

ლინის ჟურნალ-გაზეთები მაშინვე წინასწარ-მეტყველებდნენ, რომ ეგ სამკურნალო ალე დაიკეტება, რადგან ავადმყოფები არ ეყოლებათ ქალებს-ექიმებსაო. თვით დამაარსებელთა მოულოდნელად სამკურნალოს იმდენი დედათა სქესის ავადმყოფი მიაწყდა თურმე, რომ ექიმები შუაღამემდე მუშაობენ და მაინც ვერ ასწრობენ საქმესა.

— მეკლენბურგში, გერმანიაში, ერთის მეეტლის ცოლი სამ წელიწადს ზედი-ზედ დაწოლილა: პირველს წელიწადზე ჭყოლია ტყუპი, მეორეზე—სამი და მესამეზე—კიდევ ტყუპი.

— ავსტრიის დედოფალი საუკეთესო მხედრად ითვლება. გრაფ პატცფელდის ერთი კარგი, მაგრამ მოურჯულებელი კვიცი ჰყოლია. ამ კვიცსა სულ ცოტა ხანში 11 მეჯინიბესათვის უგბენია და დაუსახიჩრებია და, დასასრულ, თვით გრაფისათვისაც ერთხელ თითი მოუკვნეტია. გრაფს უბრძანებია მაშინვე, რომ ცხენი გაყიდეთო. ეს კვიცი ავსტრიის დედოფალს უყიდნია და ისე მოუშინაურებია, დაუმორჩილებია, რომ დედოფლის ხელიდგან შაქარსა სჭამს თურმე კვიცი.

— ტელტოვში, ბერლინს ახლო, ერთს ღარიბს დედაკაცს, პოლშელს, მკელ-მკულებით მოკაჭრისათვის სხვა-და-სხვა ფალას-ფულასი მიუყიდნია, ფული მიუღია და წასულა სახლში. როცა ვაჭარს გაურჩევია ნაყიდი ფალას-ფულასი, შიგ ახლად დაბადებული ყმაწვილი უპოვნია, ათას ნაირად შეხვეული და გარდახვეული. კიდევ კარგი, რომ ყმაწვილს სული არ შეჭხუთვია და არ დამრჩვალა. შეშინებულს ვაჭარს მაშინვე პოლიციისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი, პოლიციაც დედაკაცის ძებნას შესდგომია, კვალისათვის მიუგნია და დედაკაცი დაუპატიმრებია.

— ამ რამდენისამე წლის წინად ფილადელფიაში მის სკოტტს, რკინის გზის კონცესიონერის ქალს, შეჰყვარებია თავის მასწავლებელ-ქალის ძმა, იოსებ ტროპპი, რომელიც მალიან ღარიბი ყოფილა და ამიტომ ვერ შეირთავდა სკოტტსა. მშობლებს ეს ქალი მიუთხოვებიათ მდიდარ და შემძლებულ ვაჭრისათვის, რომლისათვისაც ქალს მაშინვე გამოუცხადებია, რომ ესა-და-ეს კაცი მიყვარს და ამიტომ ჩემის თანაგრძნობის იმედი ნუ გექნებაო. ორის წლის შემდეგ სკოტტს ქმარიც მოჰკვდომია, მამაცა და რამდენიმე მილიონი სამკვიდრო დარჩენია. ყმაწვილი-კაცი ტროპპი უკვე დაცოლ-შვილიანებული ყოფილა, გაჰყრია ცოლსა და ახალგაზდა ქვრივზე დაუწერია ჯვარი. ამ დღიდგან ამ ახლად ჯვარ-დაწერილებს ფილადელფიის არისტოკრატია არ იკარებს თურმე და არც თვითონ ეკარება.

— არანხუეზში, სადაც ზაფხულობით ცხოვრობენ ხოლმე ისპანიის მეფენი, ორს ძმას გლეხებს შეჰყვარებიათ ერთი თხუთმეტის წლის გლეხის ქალი და ორივეს მოუწადინებია ამ ქალზე ჯვარის-წერა. მშვენიერს სუანიტა ვეზაროს უპასუხნია, რომ ორივე ძმები მომწონხართ და ჩემთვის სულ ერთია, თუნდა ერთს წავყვე ცოლად, თუნდა მეორესაო. შეყვარებულ ძმებს გადაუწყვეტიათ, რომ საჯაროდ ვიბრძოლოთ და ვინც გამარჯვებული დარჩეს, ეს ქალიც იმან შეირთოსო. ყმაწვილი ქალი მორთულ-მოკაზმული და თავის მშობლებითურთ მისულა ბრძოლის ადგილას. ძმები დასძგერებიან ერთმანერთს, ცოტა ხნის შემდეგ უმცროს ძმას უჯობნია და უფროსი ძმა-კი, უმცროსის მანამდე გულითადი მეგობარი, ეგდო თურმე დედამიწაზედ გასისხლიანებული და გულშემოყრილი. ახალგაზდა ქალი გახარებული მივარდნილა გამარჯვებულთან და ხელი გაუშვერია; ხოლო ყმაწვილ-კაცს ხელი უკრავს, უკან დაუყენებია და უთქვამს: «ულმობელო და მედგარო, გული რას გეუბნებოდა, როცა ჩვენს ბრძოლას შეჰყურებდი, როგორ მოითმინე, როგორ აიტანე, ამ ზომამდე რად მიგვიყვანე; არა, მე შენ ცოლად ვერ გაგიხდი, შენ მე ცოლობას ვერ გამიწევო!». ამის შემდეგ ყმაწვილ-კაცს თავის მიერ დაჭრილი ძმა წაუღია სახლში. ქალი-კი შინ დაბრუნებულა და თავი ჩამოურჩვია.

———ΘΘ———

# დეპეშა

15 იანვარი

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი. გუშინ საზამთრო სასახლეში იყო პირველი ბალი; მოწვეული იყო 3150 კაცი. 12 საათი რომ შესრულდა, მაზურკის შემდეგ, სტუმრები ვახშმად დაბძანდნენ. ხელმწიფე იმპერატრიცას გვერდით უსხდნენ გერმანიისა და ოსმალეთის ელჩები. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და დაათვალიერა თავისი სტუმრები ყველა დარბაზებში. ზოგიერთთან კიდეც ისაუბრა.

ყოველ წლივ პეტერბურგში კრება ხოლმე გენერალ-გუბერნატორებისა, რომელნიც საზოგადო საქმეების განსახილველად შეიკრიბებიან ხოლმე. რაკი წელსაც გენერალ-გუბერნატორები პეტერბურგში არიან შეკრებულნი, ამიტომ სამხედრო სამინისტრომ ითხოვა, რომ უმაღლესად იქმნას ნაბრძანები და შესდგეს ცალკე კომისია; ამ კომისიამ საბოლოოდ განიხილოს პროექტი ახალის დებულებისა იმაზე,—თუ როგორ უნდა ჰმართონ ჯარის საქმენი ომიანობის დროსაო. კომისიის თავმჯდომარედ იქნება დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უფროსი. წევრებად დაინიშნებიან მთავარნი უფროსნი სამხედრო ოლქებისა და კიდევ სხვანიცა, ვისაც დიდი სამხედრო და საადმინისტრაციო ადგილები უჭირავთ. სამხედრო სამინისტროს უნდა აგრეთვე, რომ დღეს პეტერბურგში მყოფთა სამხედრო უფროსთა მონაწილეობით განხილულ იქმნას დღევანდელი სადისციპლინო წესდებულება.

„С.-Пет. Вѣд.“-ი გვაუწყებს, რომ იმ კომისიამ, რომელსაც უნდა გადაესინჯა წესდება პასპორტებისა, შეიმუშავა თავისი პროექტიო. მაგრამ ამ პროექტს ჯერ ასე მალე არ შემოიღებენ, რადგანაც იმისი შემოღება დამოკიდებულია იმ კომისიაზე, რომელიც ათვალიერებს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებისა და ჩამორთმევის კანონებსაო.

ბ ე ლ გ რ ა დ ი. გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთისა «დიდი სერბია». ეს გაზეთი ჰქადაგებს, რომ სერბიელნი და რუმინები ერთად უნდა შეერთდნენ და ავსტრიის წინააღმდეგ იმოქმედონო.

16 იანვარი

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი. გამოცხადებულია, რა უნდა გადახდეს იმათ, ვინც დაარღვევს წესს სანათ ნავთეულობის ბაჟისას.

უფროსი ზღვათა მთავარ-შტაბისა, ვიცე-ადმირალი ჩიხაჩოვი დანიშნულ იქმნა პრაქტიკულის ესკადრის გამგებელად.

სწავლა ხარკოვის უნივერსიტეტში დაიწყება 25 იანვრიდამ.

«Новое Время» გვაუწყებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შესდგება კომისია მინისტრის ამხანაგის პლევეს თავ-მჯდომარეობით. ამ კომისიამ უნდა განიხილოს მიწათ-მფლობელობის გაჭირებული მდგომარეობა და გამოიკვლიოს ისიცა, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს, რომ პირნახულის ფასმა მოიმატოს.

უმაღლესის ნება-დართვით დამტკიცებულ იქმნენ მრეწველობის წარმომადგენლებად იმ საბჭოში, რომელიც გზათა სამინისტროსთან არის დაარსებული რკინის გზის საქმეთათვის, შემდეგნი: თავ-მჯდომარე კერძო საეკონომიო საზოგადოებისა ბარონ კორფი და ინჟინერი გენერალ-მაიორი სტრუვე; ვაჭრობისა და მანუფაქტურების წარმომადგენლებად კამერგერი ნეჩაევ-მალცევი და კომერციის სოვეტნიკი ალექსი პროზოროვი.

მ ო ს კ ო ვ ი. გუშინ ოლქის სასამართლომ გაარჩია საჩივარი მაშინისტის ტოლოკონნიკოვისა, რომელიც უჩიოდა რიაზან-კოზლოვის რკინის გზის საზოგადოებას და ითხოვდა: საზოგადოება მოვალეა დამიუროს, რაც მერგება გახეიბრებისათვისაო. მაგ საზოგადოების სამსახურში მომწყვიტა მარცხენა ხელი მატარებელმა რიაზანის სადგურზეო. ამაში ბრალი ჰქონდა იმას, რომელიც ვაგონებს შეურჩევს ხოლმე მატარებელს აქეთ-იქით გასაგზავნადაო. ამ კაცმა მაშინ გაატარა მატარებელი, როცა მე ზეთითა ვპოხავდი მატარებლის ღერძებსაო. სასამართლომ დაადგინა: გარდახდეს საზოგადოებას ტოლოკონნიკოვის სასარგებლოდ 4,200 მანეთიო.

ვ ე ნ ა. «Politische Korrespondenz»-ს დეპეშითატყობინებენ სტამბოლიდამ, რომ სასახლეში შეადგინეს კომისია. ამ კომისიას მინდობილი აქვს, რომ განსაკუთრებით იმ საქმეებზე იმუშაოს, რომელიც-კი სომხებს შეეხება,—სომხურ მწერლობას თვალ-ყური ადევნოს და ყოველ დღე წარუდგინოს ანგარიში სულთანს იმისა, რასაც შენიშნავს. ამ კომისიამ განკარგულება მოახდინა, რომ ორი სომეხთა სასწავლებელი დაიკეტოსო. ვენაში ამბობენ, რომ ამ განკარგულებას კიდევ სხვა ღონის-ძიებანი მოჰყვება, სომხების წინააღმდეგ მიმართულიო.

ბ ე რ ლ ი ნ ი. რეიხსტაგში ბაასი დაიწყო იმის შესახებ, რომ სოციალისტთა წინააღმდეგს კანონს ნუ გავაუქმებთ, ისევე ძალაში იყოსო. მინისტრმა პუტკამმერმა ამ კანონის შეცვლის საბუთების უარ-ყოფის დროსა სთქვა, რომ ამ მიღებულ ღონის-ძიებათა წყალობით გერმანიაში უწესოება და განხეთქილება მოისპო და ამასთან ყოვლად საჭიროა და საქებურიც, რათა სახელმწიფო დავიცვათ იმისაგან, რომ ყველას არ მიეცეს ნება ხალხის აღელვებისა და მავნე აზრების გავრცელებისაო. პუტკამმერმა აღიარა, რომ პრუსიის მთავრობას შვეიცარიაში აგენტები ჰყავს ანარხისტთა სათვალ-ყუროდაო და რომ ამ გვარი მოქმედება მთავრობისა უნაყოფოდ არა რჩებაო.

პეტერბურგის ბირჟა 15 იანვარი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანეთიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 9 22 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 184½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . . . . | — ,, | — ,, | 1 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — ,, | — ,, | 262 |
| — მეორისა. . . . . | — ,, | — ,, | 246 |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

———ΘΘ———

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უჱ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე 4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადები—25.

### იანვარი 31 დღით არის

17 დღე კვირა. ღირს. ანტონ დიდისა და სხ. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 5—11. მთვარე 17 დღისაა.

18 დღე ორშაბათი. წმ. ათანასესი და კირილესი. კათოლ. წმ. პეტრეს კათედრისა რომში. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 5—12. მთვარე 18 დღისაა.

19 დღე სამშაბათი. ღირსისა მაკარისა, არსენასი და ანტონ მარტყოფელისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ალმსაარ. ჰენრიხისა. სომეხ. მეფე თეოდოსისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 5—14. მთვარე 19 დღისაა.

20 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ექვთიმე დიდისა. კათოლ. წმ. ფაბიანესი და წმ. მოწ. სევასტიანისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 5—15. მთვარე 20 დღისაა.

21 დღე ხუთშაბათი. მაქსიმე აღმსარებელისა და ნეოფიტესი. კათ. წმ. ქალწ.-მოწ. აგნესი. სომეხ. წმ. ვაჰანისა და კირაკოსისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 5—16. მთვარე 21 დღისაა.

22 დღე პარასკევი. მოციქ. ტიმოთესი და ღირსისა ანასტასიასი. კათოლ. წმ. ვიკენტისა და წმ. მოწ. ანასტასიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 5—17. მთვარე 22 დღისაა.

23 დღე შაბათი. წმ. მოწ. კლიმენტისა და ღირს. გენადისა. კათოლ. დანიშნვა ყოვლად წმ. ქალწულის მარიამისა. სომეხ. წმ. ათანასესი და კირილესი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 5—19. მთვარე 23 დღისაა.

24 დღე კვირა. ღირსისა დედისა ქსენიასი და მაკედონიასი. კათოლ. წმ. მოწ. ტიმოთესი. სომეხ. წმ. ვაჰანისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 5—20. მთვარე 24 დღისაა.

———<>———

## გამოსადეგი ცნობანი
### ნ ი ხ რ ი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
» 2 » 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 »
» » 2— 3½ »
» » 3 » 3

ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 »
მე-2 ხარისხისა . . 4 »
მე-3 — . . . » »
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 »
» 2 » 7 »
სუკი . . . . 14 »
მროხის ხორცი . . . 8 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. 7 »
» 2 » 6 »

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა
### შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101


## განცხადებანი

10 იანვარს ტფილისის საბრანიაში სატანცაო საღამოზედ დაიკარგა შუა ნაწილი სამაჯურისა (ბრასლეტისა), ოქროში ჩამჯდარის წითელის ფერის ქ ით (ალმანტინი). ქვაზედ გამოსახულია ასო A. ვარდებისაგან. თვით ქვას გარშემო უს ხედსბრლიანტები. ვსთხოვთ, ვინც იპოვა, ან ტფილისის საბრანიის კანტორაში მიიტანოს, ან მელიქ-ბეგლაროვის სახლში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ორბელიანთ ქუჩაზე, სახლის № 3. (3—2)

ШОКОЛАТЪ С. СІУ и Ко (50—7)


Доз. цен. Тиф. 16 января, 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე